საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/182 „ 14 „ მაისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საერთო სასამართლოს მოსამართლის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ სარგებლობს სამსახურებრივი ავტომანქანით და:

ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული აქვს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;

ბ) ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას;

გ) ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით;

დ) არსებობს შესაბამისი ობიექტური გარემოება, რის შესახებაც სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნა (საწვავის ზღვრული ოდენობისა და საჭიროების მითითებით) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება საერთო სასამართლოების დეპარტამენტს.

3. გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისა და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს თავმჯდომარის ან სასამართლოს მენეჯერის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (საწვავის ზღვრული ოდენობისა და საჭიროების მითითებით), საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოყოს საწვავის ლიმიტი სასამართლოს მოსამსახურის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, როგორც არასაბარათე (ტალონური), ასევე საბარათე და ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების („აგაი“) სისტემის მეშვეობით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი